პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 166 (4676)

1972 წ. 24 აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## თელავის „კახეთი“ — საქართველოს თასის მფლობელი

ფეხბურთი

ჩემპიონის თასი



თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 22 აგვისტო.

„კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 4:1 (3:0).

„კახეთი“: რეხვიაშვილი, ჩაველაშვილი, ასატუროვი, თვალიაშვილი, ბურდული, ელიხაშვილი, ხირაძე, ცირეკიძე, მაისურაძე (იმერლიშვილი), კობახიძე, ტიკურიშვილი.

„დინამო“: წყაროზია, ზვანბაია, კოროლიოვი, ტაბალუა, შაქაცარია, თუთბერიძე, მესხი, სიჯინავა, კემულარია, დარასელია (ჯოჯუა), აბრალავა.

მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

თასის გათამაშებას თავისი კანონები აქვს. ეს ცნობილი ამბავია და ამიტომაა, რომ მის მატჩებში პროგნოზის გაკეთება და ფავორიტის წინასწარ გადაჭრით დასახელება სახიფათო საქმეა. კერძოდ, რესპუბლიკური ჩემპიონატის ლიდერს — ზუგდიდის „დინამოს“ თითქოს გარკვეული უპირატესობა უნდა ჰქონოდა თელავის „კახეთთან“, რომელიც ამავე გათამაშების ცხრილში მხოლოდ პირველი ათეულის ბოლოშია, მაგრამ საქართველოს თასის გათამაშების ფინალურმა მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რა ძალა აქვს კოლექტივის მობილიზებას, ნებისყოფას და მთელი შესაძლებლობით ბრძოლას. ეს ნათლად დაამტკიცეს „კახეთის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც შესანიშნავი საბრძოლო თვისებები გამოავლინეს, დიდი აღმავლობით ითამაშეს და ღირსეულად დაისაკუთრეს საპატიო პრიზი. ამ მატჩს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა, რომელთა შორის, ცხადია, ზუგდიდელთა გულშემატკივრებიც იყვნენ. არა გვგონია რომელიმე მათგანი ოდნავ მაინც დაეჭვებულიყო, რომ თელაველებმა ღირსეულად მოიპოვეს წარმატება.

„კახეთმა“ გამარჯვება ფაქტიურად დასაწყისშივე გაინაღდა, როცა დინამოელთა მცველმა კოროლიოვმა და მეკარე წყაროზიამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს და ჩაველაშვილს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცეს. ეს მოხდა მე-3 წუთზე. 2 წუთის შემდეგ კი დინამოელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო, წყაროზიამ ალღო ვერ აუღო ცირეკიძის დარტყმას და მის კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

2:0 მე-5 წუთისთვის — ეს დიდი ფორაა! მიუხედავად ამისა, ზუგდიდელებს ცდა არ დაუკლიათ, რომ გარღვევა შეეტანათ თამაშში. ისინი თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თელაველებს ძალიან გაუჭირდებოდათ წარმატების შენარჩუნება. მაგრამ თანდათან გამოირკვა, რომ დინამოელთა უპირატესობა უმთავრესად გამოიხატებოდა მათი თავდამსხმელების ზედმეტ ინდივიდუალურ თამაშში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს სასარგებლო არაფერი მოჰქონდა. თელაველთა დაცვა უნარიანად, ორგანიზებულად უმკლავდებოდა აბრალავას, კემულარიას, დარასელიას იერიშებს და საკმარისი იყო მცირეოდენი შესაძლებლობა, რომ გუნდი მოფიქრებულ, სახიფათო კონტრშეტევაზე გადადიოდა, სადაც დამაჯერებლად, კომბინაციურად მოქმედებდნენ მაისურაძე, კობახიძე, ცირეკიძე, ელიხაშვილი და სხვ. ამას გარდა, ძალიან სუსტად, ხშირი შეცდომებით ითამაშეს „დინამოს“ დაცვამ და მეკარემ. საკმარისი იყო მეტოქის იერიში და ზუგდიდელთა კარი რეალური საშიშროების წინაშე იყო ხოლმე.

ჯველაფერი ეს „კახეთმა“ მშვენივრად გამოიყენა. ტაიმის დასასრულისთვის მაისურაძემ შეამჩნია, რომ წყაროზია არასწორად იყო გამოსული წინ და თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი — 3:0. 54-ე წუთზე ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა კობახიძემ მეოთხედ აიძულა დინამოელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და ამ უკანასკნელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ პენალტის საშუალებით თავი დააღწიეს დიდი ანგარიშით წაგებას. 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა დარასელიამ.

მატჩის შემდეგ თელავის „კახეთს“ (მწვრთნელი ფ. ჭელიძე) საქართველოს თასი გადაეცა, მის მოთამაშეებს კი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომები. მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ ზუგდიდის „დინამოს“ კოლექტივი და მისი წევრები.

ზ. ქორქია.

• • •

სურათებზე: საქართველოს თასის მფლობელი — თელავის „კახეთი“. მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი—გუნდის მწვრთნელი ფ. ჭელიძე; თელაველ თ. მაისურაძეს მესამე ბურთი გააქვს ზუგდიდელთა კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



## მეჩვიდმეტე პარტია

### სპასკი — ფიშერი

ალეხინის დაცვა

1. e4 d6 2. d4 g6 3. მc3 მf6 4. f4 კg7 5. მf3 c5 6. dc ლa5 7. კd3 ლ:c5 8. ლe2 0—0 9. კe3 ლa5 10. 0—0 კg4 11. ეad1 მc6 12. კc4 მh5 13. კb3 კ:c3 14. bc ლ:c3 15. f5 მf6 16. h3 კ:f3 17. ლ:f3 მa5 18. კd3 ლc7 19. კh6 მ:b3 20. cb ლc5+ 21. მფh1 ლe5 22. კ:f8 ე:f8 23. fg hg 24. ეe3 ეc8 25. ლf4 ლ:f4 26. ე:f4 მd7 27. ეf2 მe5 28. მფh2 ეc1 29. ეe2 მc6 30. ეc2 ეe1 31. ეfe2 ეa1 32. მფg3 მფg7 33. ეcd2 ეf1 34. ეf2 ეe1 35. ეfe2 ეf1 36. ეe3 a6 37. ეc3 ეe1 38. ეc4 ეf1 39. ეdc2 ეa1 40. ეf2 ეe1. პარტია გადაიდო.

• • •

XVII პარტიაში ფიშერმა კვლავ ახალი სადებიუტო სისტემა აირჩია — საბჭოთა ოსტატ ა. უფიმცევის დაცვა. სპასკიმ დებიუტი თეორიის უკანასკნელი სიტყვით გაითამაშა. როცა ყველა ფიგურა გამოიყვანა, მე-13 სვლაზე მეტოქეს პაიკი შესთავაზა, ფიშერმა შეწირვა მიიღო, მაგრამ მისი მეფის ფრთა შესამჩნევად დასუსტდა. ცხადია, მსოფლიო ჩემპიონმა იერიში წამოიწყო. ფიშერი ზუსტად იცავდა თავს, ხოლო კუში ეტლის დათმობით დაცვა კიდევ უფრო განამტკიცა. სპასკიმ ლაზიერები გაცვალა. ენდშპილი მხოლოდ მისთვის იყო სასარგებლო. სპასკის მოგების შანსს შავი ეტლის გაცვლა აძლევდა, მაგრამ ფიშერი გაცვლას გაურბოდა, ცდილობდა პოზიცია სამჯერ გაემეორებინა, ყაიმი რომ მოეთხოვა.

40 სვლის მერე პარტია ამ პოზიციაში გადაიდო:

ფიშერი



სპასკი

41-ე სვლა სპასკიმ ჩაიწერა. სპეციალისტების აზრით, სპასკის უპირატესობა აქვს, მაგრამ ფიშერი ყაიმის რეალურ შანსს ინარჩუნებს.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 9,5:6,5 ფიშერის სასარგებლოდ.

XVIII პარტია 24 აგვისტოს გაიმართება.

ჩვენ გაზეთი ... იყო... 19 45

◆ კოიანა-ბრაშოვი, 23 აგვისტო. ამ საავარაკო ქალაქში რუმინელმა მძლეოსნებმა ოლიმპიადის წინ ბოლო შეჯიბრება გამართეს. 100 მეტრზე თარჯრბენში 26 წლის ვალერია ბუფანუს სულ 0,1 წამი დააკლდა მსოფლიო რეკორდის გამეორებამდე. მისი შედეგი (12,6) ეროვნული რეკორდია და მეორე მაჩვენებელი წლეულს მსოფლიოში.

◆ ენეკოსკი, 23 აგვისტო. ფინეთის ერთ-ერთმა „ოლიმპიურმა ოქროს იმედმა“, 24 წლის ხ. სიიტონენმა აქ 88,58 მეტრზე ტყორცნა შუბი (მეორე შედეგი წლეულს მსოფლიოში).

◆ პრაღა, 23 აგვისტო. ოლიმპიური თამაშების წინ გამართული ბოლო რეპეტიციის დროს ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა ნაკრების წევრებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. ევროპის ჩემპიონმა ლ. დანეკმა 66,64 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო ი. მატოუშეკმა 100 მ 10,2 წამში გაირბინა.

◆ ალმა-ათა, 23 აგვისტო. ყაზახეთის ალპური კლუბის ათკაციანმა გუნდმა სპორტის ოსტატ ვ. ილინსკის ხელმძღვანელობით დალაშქრა საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი — კომუნიზმის პიკი (7495 მ). ამრიგად, წლეულს ამ მწვერვალზე უკვე შედგა ფეხი ყაზახეთის ოცმა მთამსვლელმა. ხუთი მათგანი საიუბილეო ალპინიადის მონაწილე იყო, ხუთი კი ცალკე ჯგუფად ავიდა.

## ორნი ერთი ოჯახიდან

ლიპეცკი, 22 აგვისტო. მდინარე ვორონეჟზე ხუთ დღეს გაგრძელდა ქვეყნის ჩემპიონატი წყალსამოტორო სპორტში. შეჯიბრების გმირები იყვნენ მოსკოველი ძმები ქიროვები: ანდრეი სსრ კავშირის რეკორდსმენია „სა-1“ კლასის ნავით (სიჩქარე — 49,755 კმ საათში). სერგეი პრიზიორია „სა-11“ და „ოვ“ კლასების ნავებით შეჯიბრებაში.

წლევანდელი ზაფხული ქიროვების ოჯახისთვის ბედნიერი იყო. ანდრეი მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში შევიდა, სერგეიმ კი ავიაციის ინჟინრის დიპლომი დაიცვა. ამ სპორტსმენთა მშობლები არიან ყოფილი მრბოლელები, ახლა კი მწვრთნელები ვასილ და გალინა ქიროვები.

პირველად დამყარდა საკავშირო რეკორდი „ვიხრის“ ძრავიანი ნავით — 67,367 კმ საათში. ეს მიღწევა 35 წლის ტარტუელ მყვინთავს ა. რაუდვეს ეკუთვნის.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა. II ადგილზე არიან რსფსრ-ს მრბოლელები, III — უკრაინის სპორტსმენები.

(საკდესი).

## ნაკრების საკონტ-მატჩი

სსრ კავშირის ოლიმპიელმა ფეხბურთელებმა გუშინწინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარეს ერევნის „არარატთან“ მიუნხენში გამგზავრების წინ.

ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა კოლოტოვმა, შესვენებამდე კი ნაკრებმა კიდევ უფრო დააწინაურა ელისეევმა.

55-ე წუთზე საზომ საჯარიმო დარტყმით მესამედ აიღო „არარატის“ კარი. 76-ე წუთზე იშტოიანმა პენალტით შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა და ნაკრებმა გამარჯვებულმა დატოვა მინდორი — 3:1.

ოლიმპიელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: რუდაკოვი (პილგუი), ძოძუაშვილი, ხურცილავა, ისტომინი, კაპლიჩნი, კოლოტოვი, ონიშჩენკო (ბლოხინი), იაკუბიკი, ელისეევი (ოლშანსკი), კუქსოვი, ფედოტოვი.

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 2 დღე

München -72

# საქართველო და ოლიმპიადები

**ჰ**ელსინკი, მელბურნი, რომი, ტოკიო, მეხიკო...

ხუთ ოლიმპიურ თამაშებში ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკა — საქართველო 56 სპორტსმენითაა წარმოდგენილი. თოთხმეტმა მათგანმა ორ ოლიმპიადაში იასპარეზა. ესენი არიან: მოჭიდავეები გ. კარტოზია, გ. სხირტლაძე, ვ. ბალავაძე, რ. რურუა, ზ. ბერიაშვილი, შ. ლომიძე; მძლეოსნები ნ. ხნიკინა-დვალიშვილი, რ. შავლაყაძე; მოფარიკავეები გ. კოსტავა, ნ. ასათიანი; მოცურავე ბ. ნიკიტინი; მსროლელი შ. ქველიაშვილი; ველოსიპედისტი ო. ფხაკაძე; წყალში მხტომელი ბ. პოლულიახი.

მაგრამ საქართველოს სპორტსმენთა შორის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის აბსოლუტური რეკორდი მათ კი არ ეკუთვნით, არამედ ზამთრის სპორტის სახეობათა წარმომადგენელს, სახელმოხვეჭილ „მფრინავ მოთხილამურეს“ კ. წაქაძეს. იგი ოთხი ოლიმპიადის სარბიელზე (კორტინა დ'ამპეცოს VII, სკვო-ველის VIII, ინსბრუკის IX და საპოროს XI თამაშები) გამოვიდა.

• • •

საქართველოს სპორტსმენებს უასპარეზიათ 15 ოლიმპიურ დისციპლინაში. ყველაზე მეტი ოლიმპიელი მოჭიდავეებს ჰყავთ — 17 (თავისუფალი ჭიდაობა — დ. ციმაკურიძე, მ. ცალქალამანიძე, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, ვ. რუბაშვილი, გ. საღარაძე, ნ. ხოხაშვილი, ზ. ბერიაშვილი, შ. ლომიძე, კლასიკური ჭიდაობა — გ. კარტოზია, რ. ძნელაძე, ა. ქორიძე, რ. რურუა, დ. გვანცელაძე, რ. აბაშიძე; ძიუდო — ა. კიკნაძე, ფ. ჩიკვილაძე). შემდეგ მოდიან: მძლეოსნები — 11 (ლ. სანაძე, ნ. ხნიკინა-დვალიშვილი, ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, რ. შავლაყაძე, ა. შჩერბინა, რ. ქვაჩაკიძე, ი. დიაჩკოვი, ლ. იევლევა, გ. გუდაშვილი, ი. დელაროსა), კალათბურთელები — 7 (ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, გ. მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე, ლ. მოსეშვილი, ზ. საკანდელიძე, ს. კოვალენკო), მოფარიკავეები — 5 (ა. მეიფარიანი, რ. ცირეკიძე, ი. ოსიპოვი, გ. კოსტავა, ნ. ასათიანი), წყალბურთელები — 3 (ნ. გვახარია, გ. ჩიქვანაია, ლ. გოგოლაძე), მოცურავეები — 3 (ბ. ნიკიტინი, ა. ტუტაკაევი, თ. ლეკვეიშვილი), ძალოსნები — 2 (რ. ჩიმიშკიანი, დ. შანიძე), ველოსიპედისტები — 2 (ო. დადუნაშვილი, ო. ფხაკაძე), ფეხბურთელები — 2 (ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი), ტანმოვარჯიშე — 1 (მ. ჯუღელი), მსროლელი — 1 (შ. ქველიაშვილი), წყალში მხტომელი — 1 (ბ. პოლულიახი), ფრენბურთელი — 1 (ვ. კაჭარავა).

• • •

ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ანგარიშზეა: ოქროს მედალი — 11, ვერცხლის მედალი — 14, ბრინჯაოს მედალი — 18, IV ადგილი — 6, V ადგილი — 3, VI ადგილი — 2.

ცალკეულ ოლიმპიადებზე ეს მაჩვენებლები ასე ნაწილდება:

ჰელსინკი. ოქროს მედალი — 3 (დ. ციმაკურიძე, რ. ჩიმიშკიანი, მ. ჯუღელი), ვერცხლის მედალი — 3 (ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ლ. სანაძე), ბრინჯაოს მედალი — 2 (ნ. ხნიკინა-დვალიშვილი, ნ. დუმბაძე), IV ადგილი — 1 (ნ. ხნიკინა-დვალიშვილი). ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს და წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშნენ: ე. გოკიელი, ა. მეიფარიანი, ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი, ო. დადუნაშვილი.

მელბურნი. ოქროს მედალი — 2 (გ. კარტოზია, მ. ცალქალამანიძე), ბრინჯაოს მედალი — 6 (ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, რ. ძნელაძე, ნ. ხნიკინა-დვალიშვილი, ბ. ნიკიტინი, ნ. გვახარია). ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო ორმა სპორტსმენმა — რ. ცირეკიძემ და ი. ოსიპოვმა.

რომი. ოქროს მედალი — 2 (რ. შავლაყაძე, ა. ქორიძე), ვერცხლის მედალი — 5 (გ. მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე, გ. სხირტლაძე, გ. ჩიქვანაია, ლ. გოგოლაძე), ბრინჯაოს მედალი — 3 (გ. კარტოზია, ვ. რუბაშვილი, გ. კოსტავა), IV ადგილი — 1 (ა. შჩერბინა). ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს და წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშნენ: ნ. ასათიანი, ვ. ბალავაძე, რ. ქვაჩაკიძე, ი. დიაჩკოვი, ბ. ნიკიტინი.

ტოკიო. ოქროს მედალი — 2 (ნ. ასათიანი, ვ. კაჭარავა), ვერცხლის მედალი — 4 (გ. საღარაძე, რ. რურუა, შ. ქველიაშვილი, ლ. მოსეშვილი), ბრინჯაოს მედალი — 5 (ნ. ხოხაშვილი, დ. გვანცელაძე, ა. კიკნაძე, ფ. ჩიკვილაძე, გ. კოსტავა), IV ადგილი — 1 (ა. ტუტაკაევი), V ადგილი — 2 (რ. შავლაყაძე, რ. აბაშიძე), VI ადგილი — 2 (ბ. პოლულიახი, ზ. ბერიაშვილი). ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს შ. ლომიძემ და ო. ფხაკაძემ.

მეხიკო. ოქროს მედალი — 2 (ვ. სანეევი, რ. რურუა), ვერცხლის მედალი — 2 (დ. შანიძე, შ. ლომიძე), ბრინჯაოს მედალი — 2 (ზ. საკანდელიძე, ს. კოვალენკო), IV ადგილი — 3 (შ. ქველიაშვილი, ო. ფხაკაძე, თ. ლეკვეიშვილი), V ადგილი — 1 (ზ. ბერიაშვილი). ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს და წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშნენ ლ. იევლევა, გ. გუდაშვილი, ი. დელაროსა, ბ. პოლულიახი.

• • •

სტატისტიკის მოყვარულებს აინტერესებთ ყველაფერი, რაც ციფრებთანაა დაკავშირებული. ამიტომაც ვთავაზობთ მათ ასეთ ცნობას: რომელმა სპორტსმენმა რამდენი ქულა შეიტანა საბჭოთა ოლიმპიელების საერთო ყულაბაში.

რ. რურუა (კლასიკური ჭიდაობა) — 12 ქულა, გ. კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა) — 11, რ. შავლაყაძე (მძლეოსნობა) — 9, გ. სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — 9, ნ. ხნიკინა-დვალიშვილი (მძლეოსნობა) — 8,75, შ. ქველიაშვილი (სროლა) — 8, ვ. სანეევი (მძლეოსნობა) — 7, დ. ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — 7, მ. ცალქალამანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — 7, ა. ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა) — 7, რ. ჩიმიშკიანი (ძალოსნობა) — 7, გ. საღარაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — 5, შ. ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — 5, დ. შანიძე (ძალოსნობა) — 5, გ. კოსტავა (ფარიკაობა) — 4,8, ნ. დუმბაძე (მძლეოსნობა) — 4, ვ. ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — 4, რ. ძნელაძე (კლასიკური ჭიდაობა) — 4, ვ. რუბაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — 4, ნ. ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — 4, დ. გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა) — 4, ა. კიკნაძე (ძიუდო) — 4, ფ. ჩიკვილაძე (ძიუდო) — 4, მ. ჯუღელი (ტანვარჯიში) — 3,87, ო. ფხაკაძე (ველოსპორტი) — 3, ა. შჩერბინა (მძლეოსნობა) — 3, ზ. ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — 3, რ. აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა) — 2, ლ. სანაძე (მძლეოსნობა) — 1,25, ბ. პოლულიახი (წყალში ხტომა) — 1, ბ. ნიკიტინი (ცურვა) — 1, ა. ტუტაკაევი (ცურვა) — 0,75 თ. ლეკვეიშვილი (ცურვა) — 0,75, ვ. კაჭარავა (ფრენბურთი) — 0,58, გ. ჩიქვანაია (წყალბურთი) — 0,45, ლ. გოგოლაძე (წყალბურთი) — 0,45, ო. ქორქია (კალათბურთი) — 0,41, ნ. ჯორჯიკია (კალათბურთი) — 0,41, გ. მინაშვილი (კალათბურთი) — 0,41, ვ. უგრეხელიძე (კალათბურთი) — 0,41, ლ. მოსეშვილი (კალათბურთი) — 0,41, ნ. გვახარია (წყალბურთი) — 0,36, ზ. საკანდელიძე (კალათბურთი) — 0,33, ს. კოვალენკო (კალათბურთი) — 0,33.

## ორიოდე სიტყვა ყველაზე

XV ოლიმპიური თამაშები. ჰელსინკი, 1952 წლის 15 ივლისი-3 აგვისტო.

**დავით ციმაკურიძე** (თავისუფალი ჭიდაობა, საშუალო წონა) — I ადგილი. საბჭოთა ჩემპიონის სტარტი ოლიმპიურ სარბიელზე წარუმატებელი გამოდგა: იგი პირველივე წრეში დამარცხდა ქულებით შვედ ლინდბლადთან, მაგრამ მომდევნო ბრძოლებში ციმაკურიძემ ყველა მეტოქე „დააჩოქა“ და საქართველოს სპორტსმენთა შორის პირველმა დაიმსახურა ოლიმპიური ჩემპიონის ოქრო. აი, როგორ წარიმართა ეს შეხვედრები: წმინდა გამარჯვება ჰოჯთან (აშშ) მე-6 წუთზე, წმინდა გამარჯვება ჰუსეინთან (ეგვიპტე) მე-4 წუთზე, გამარჯვება ქულებით გურიჩთან (უნგრეთი) და ტახტისთან (ირანი).

**რაფაელ ჩიმიშკიანი** (ძალოსნობა, ქვემსუბუქი წონა) — I ადგილი. სამჭიდში დააგროვა 337,5 კგ (97,5+105+135). ჩიმიშკიანმა გააუმჯობესა სამი ოლიმპიური რეკორდი — სამჭიდში, აკვრასა და ატაცში. სამჭიდის შედეგი, ამავე დროს, მსოფლიო რეკორდიც იყო.

**მედეა ჯუღელი** (ტანვარჯიში) — I ადგილი (გუნდური). მრავალჭიდში ქართველმა ტანმოვარჯიშემ 74,95 ქულა დააგროვა, რაც IX ადგილს შეესაბამება. ჯუღელის მაჩვენებლები ცალკეულ იარაღებზე: ორძელი — IX ადგილი (18,73), თავისუფალი ვარჯიში — XI (18,6), ბჯენითი ხტომა — IV (19,13), ძელი — XV (18,49).

**ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია** (კალათბურთი) — II ადგილი. წინასწარი მატჩები. ბულგარეთთან — 74:46, ფინეთთან — 47:35, მექსიკასთან — 71:62; ნახევარფინალები. აშშ-სთან — 58:86, ბრაზილიასთან — 54:49, ჩილისთან — 78:60. ფინალი: ურუგვაისთან — 61:57, აშშ-სთან 25:36.

**ლევან სანაძე** (მძლეოსნობა) — II ადგილი 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 40,3. ამას გარდა, ქართველი ათლეტი ორივე სპრინტერულ დისტანციაზე გამოდიოდა. 100 მეტრზე რბენაში დაიკავა III ადგილი (11,0) და პირველივე ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას. 200-მეტრიან დისტანციაზე მეოთხედფინალში IV ადგილი ხვდა (22,1).

**ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი** (მძლეოსნობა) — III ადგილი 200 მეტრზე რბენაში — 24,2. 4×100 მეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის წევრი ხნიკინა-დვალიშვილიც იყო, მეოთხე შედეგი აჩვენა — 46,3. 100-მეტრიან დისტანციაზე მან ნახევარფინალამდე მიაღწია. იქ კი 12,1 (მეოთხე შედეგი) აჩვენა.

**ნინო დუმბაძე** (მძლეოსნობა) — III ადგილი ბადროს ტყორცნაში (46,29 მ).

**ელენე გოკიელი** (მძლეოსნობა) — 80 მეტრზე თარჯრბენში ნახევარფინალამდე მივიდა. აქ აჩვენა მეოთხე შედეგი — 11,1.

**აკაკი მეიფარიანი** (ფარიკაობა). გამოდიოდა დაშნით მოასპარეზეთა გუნდში, რომელმაც პირველი ბრძოლა აშშ-ს წარმომადგენლებთან ფრედ (8:8) დაამთავრა, მეორე კი წააგო იტალიის ძლიერ კოლექტივთან — 4:8.

**ავთანდილ ღოღობერიძე და ავთანდილ ჭკუასელი** (ფეხბურთი) სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი ბულგარეთის გუნდს მოუგო — 2:1. მერვედფინალში მას ორი შეხვედრა ჰქონდა იუგოსლაველებთან. პირველი დამთავრდა ფრედ — 5:5, მეორე კი საბჭოთა ნაკრებმა წააგო — 1:3.

**ოთარ დადუნაშვილი** (ველოსპორტი). სპრინტერთა წინასწარ ასპარეზობაში III ადგილი დაიკავა, მერე კი მეორე იყო სანუგეშო სერიაში და ბრძოლას გამოეთიშა.

ქულები: დ. ციმაკურიძე — 7, რ. ჩიმიშკიანი — 7, მ. ჯუღელი — 3,87, ო. ქორქია — 0,41, ნ. ჯორჯიკია — 0,41, ლ. სანაძე — 1,25, ნ. ხნიკინა-დვალიშვილი — 4,75, ნ. დუმბაძე — 4. სულ საქართველოს სპორტსმენებმა ჰელსინკში 28,69 ქულა დააგროვეს. XV ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ეს შედეგი XXIII ადგილს შეეფარდება.

• • •

XVI ოლიმპიური თამაშები. მელბურნი, 1956 წლის 22 ნოემბერი-8 დეკემბერი.

**გივი კარტოზია** (კლასიკური ჭიდაობა, საშუალო წონა) — I ადგილი. პირველ წრეში მსოფლიოს ჩემპიონმა მოულოდნელი მარცხი იწვნია შვედ იანსონთან. მომდევნო შეხვედრები მან დამაჯერებლად ჩაატარა და გაიმარჯვა პეტერსონთან (ავსტრალია) 3 წუთში, გურიჩთან (უნგრეთი) და დობრევთან (ბულგარეთი) ქულებით.

**მირიან ცალქალამანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა, უმჩატესი წონა) — I ადგილი. ორი პირველი შეხვედრა დელგადოსთან (აშშ) და ასაისთან (იაპონია) ქართველმა მოჭიდავემ ქულებით მოიგო. მესამე წრეში წმინდად დაამარცხა ინდოელი დავარი (8.45 წთ.). შემდეგ ქულებით დამარცხდა მსოფლიოს ჩემპიონ აკბასთან (თურქეთი), მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა ირანელ ხოჯასტეპურს წმინდად მოუგო (4,50) და პირველობაც გაინაღდა.

**ვახტანგ ბალავაძე** (თავისუფალი ჭიდაობა, ქვესაშუალო წონა) — III ადგილი. რანტანენთან (ფინეთი) გაიმარჯვა ქულებით, ტიშენდორფთან (გერმანიის გაერთიანებული გუნდი) 4 წუთში, მერე ქულებით დამარცხდა იკედასთან (იაპონია). მეოთხე წრეში ბალავაძე ისვენებდა. მეხუთე წრეში კვლავ წმინდად გაიმარჯვა ბერლინთან (შვეცია).

**გიორგი სხირტლაძე** (თავისუფალი ჭიდაობა საშუალო წონა) — II ადგილი. ქულებით დამარცხდა სტანჩევთან (ბულგარეთი), მერე სამი შეხვედრა წმინდად მოიგო: პისკალევთან (ფინეთი), ვან-ზიილთან (სამხრეთ აფრიკის კავშირი) და შტერთან (გერმანიის გაერთიანებული გუნდი) ამ სამ გამარჯვებას ქართველმა მოჭიდავემ 12 წუთი და 55 წამი მოანდომა. მეხუთე წრეში სხირტლაძემ ქულებით სძლია თურქ ათლის, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა ამერიკელ ჰოჯთან წმინდად წააგო (14.50 წ.).

**რომან ძნელაძე** (კლასიკური ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა) — III ადგილი. ტურნირი მან წაგებით დაიწყო — მე-9 წუთზე ფარ-ხმალი დაყარა სილესთან (თურქეთი). შემდეგ ორი ბრძოლა წმინდად მოუგო ჯერ შვედ ხოკანსონს (8,35), მერე იტალიელ ტრიპას (10,40). ფინელ მაკინენთან ქულებით გამარჯვების შემდეგ, მეხუთე წრეში დაისვენა, გადამწყვეტი ბრძოლა უნგრელ პოიაკთან კი დათმო.

**ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი** (მძლეოსნობა) — III ადგილი სიგრძეზე ხტომაში — 607 სმ.

**ბორის ნიკიტინი** (ცურვა) — III ადგილი 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში — 8.34,7. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში V ადგილი დაიკავა — 4.42,8.

**ნოდარ გვახარია** (წყალბურთი) — III ადგილი. სსრ კავშირის ნაკრებმა წინასწარი შეხვედრები ასე ჩაატარა: იუგოსლავიასთან — 2:3, რუმინეთთან — 4:3, ავსტრალიასთან — 3:0; ფინალი: იტალიასთან — 3:2 აშშ-სთან — 3:1, გერმანიის გაერთიანებულ გუნდთან — 6:4, უნგრეთთან — 0:4.

**რევაზ ცირეკიძე** (დაშნით ფარიკაობა). პირად ასპარეზობაში მერვედფინალამდე მიაღწია, გუნდურში კი ნახევარფინალამდე (შვეციასთან — 9:7, კოლუმბიასთან — 15:1, დიდ ბრიტანეთთან — 6:10, საფრანგეთთან — 7:9).

**იური ოსიპოვი** (რაპირით ფარიკაობა). როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში ნახევარფინალამდე მიაღწია (ბელგიასთან — 7:9, საფრანგეთთან — 9:7, უნგრეთთან — 5:11, საფრანგეთთან — 4:9).

ქულები: გ. კარტოზია — 7, მ. ცალქალამანიძე — 7, ვ. ბალავაძე — 4, გ. სხირტლაძე — 4, რ. ძნელაძე — 4, ნ. ხნიკინა-დვალიშვილი — 4, ბ. ნიკიტინი — 1, ნ. გვახარია — 0,36, სულ საქართველოს სპორტსმენებმა მელბურნში 31,36 ქულა დააგროვეს, რაც ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში XIX ადგილს შეეფარდება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



მ. ჯუღელი



გ. კარტოზია



მ. ცალქალამანიძე



დ. ციმაკურიძე



რ. ჩიმიშკიანი

---

**მ**იხი მშვიდი ბრინჯაოსფერი სახე, მარილისგან შეჭმული ხელები, ბაწრით დასერილი დიდი ხელისგულები კარგადაა ცნობილი მსოფლიოს ყველა აფროსნისთვის. უკვე ოცი წელია ისინი იცნობენ ტიმირ პინეგინს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მესაჭეს „ვარსკვლავის“ კლასში, პინეგინს, რომელმაც 1960 წელს ნეაპოლიტანის სრუტეში ოლიმპიური ოქროს მედლისკენ ყველაზე ზუსტი გეზი აიღო. ამჟამად იგი გამოდის „სოლინგით“, რომელიც იალქნების ფლოტილიაში XIX ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩაეწერა.

— მე მათს რიცხვში ვიყავი, ვინც სულით და გულით ხმა მისცა „სოლინგს“, დარწმუნებული ვარ, ახალი კლასი გაცილებით პროგრესულია „5,5“-ზე. „სოლინგი“ კარგი ნავია. მას აქვს პლასტმასის კორპუსი, რაც ამცირებს ნავის ღირებულებას. ეს საკმაოდ ბევრს ნიშნავს, ვინაიდან საიალქნო რბოლების საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობა (იიარუ), სადაც მე სსრ კავშირის წარმომადგენელი ვარ, უნდა ფიქრობდეს ჩვენი სპორტის სახეობის ხელმისაწვდომობაზე. საბჭოთა კავშირში აფროსნებს ყოველივე აუცილებლით სახელმწიფო უზრუნველყოფს, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებში ბევრს როდი შეუძლია იალქნიანი ნავის შეძენა...

უწინაც დაახლოებით იგივეს ამბობდა პინეგინი „სოლინგების“ დასაცავად ამ საკითხზე მსჯელობდნენ იიარუ-ს ყოველწლიურ სხდომებზე, რომლებიც ტრადიციისამებრ ნოემბრის თვეში ტარდება ლონდონში. დინჯად ლაპარაკობდა, დამსწრეთ უკეთ რომ გაეგოთ მისი ინგლისური. ვერ ვიტყვით, რომ ტიმირი სრულყოფილად ფლობს ინგლისურს — მისი შესწავლა მან მხოლოდ 35 წლისამ დაიწყო, რათა აფროსნობაში არაფერი სიახლე არ გამო-

# ...ზა დაელოცოს!

...ას ნიჩბოსნების ქალაქს ...ან. მართლაც, ამ სახელმძღვანელო სპორტის ოსტატები საქარ... მცხეთელები იყვნენ, მათ ...ელ ნასყიდაშვილის ოჯახის — ლამარა და კარლო. ისინი იყვნენ საქართველოს ჩემპი...დარებით ნიჩბოსნობაში. ჩვე...ლიკის ფარგლებს გარეთაც ...სახელებიათ თავი და სსრ ...ირველი სამი სპარტაკიადის ...ც იყვნენ.

...წაბაძა უმცროსმა ძმამ გი... მთელ თავისუფალ დროს ...ლობის სადგურზე ატარებდა. ...ონდომება მწვრთნელ აკაკი ...შეუმჩნეველი არ დარჩენია, ...დაობა და სიმკვირცხლე, ნო...აკადემიურ ნავში მესაჭედ და-...

...ის გიორგიმ შესანიშნავად აუ... „პროფესიას". მართალია, ...ანებში თავს უხერხულად ... — მესაჭეობა არც ისე ... მაგრამ მალე ყველაფერს მი... მერე სტარტის წინ ოთხად... ნავის ეკიპაჟის წევრებს დი...ხსნიდა: აბა, ბიჭებო, არ აჩ... ნიჩბები ერთდროულად მოუს...ამზე ნელა გადით, ხელები წინ ... ერთი, ორი, სამი... ფინიშამ... ძლიერი მოსმა და გამარჯვებაც

...ნები გიორგის ოქროს მესაჭეს ... საქართველოში მათი ნავი ... წელიწადს ინარჩუნებდა ... სახელს, სსრ კავშირის პირ... პრიზიორთა რიგებში იყო. ... გიორგის ნავის წევრები ... ნიჩბოსნობაში პირველი ... ოსტატები გახდნენ. ერთი ...მდეგ გიორგიმ მესაჭეობას ნიჩ... არჩია — ერთადგილიან აკა...ნავში გადავიდა. ჭაბუკი ვარჯიშს შეუდგა ვარჯიშს და შედეგიც ...: ჯერ ჭაბუკთა შორის ...ის ჩემპიონობა მოიპოვა, მე...ინში. პროფკავშირთა საკავ...სპარტაკიადაში სცადა ძალა (VI ...), ერთი თვის შემდეგ კი იუ... შორის რესპუბლიკის ჩემპი...ტიტული დაისაკუთრა.

...ბულო სამხედრო სამსახურში ...მა გაიარა. შინ დაბრუნე...წვრთნელმა ბაიდარებით ნიჩბო... გადასვლა ურჩია, აკადემიურ... ...ნი ხელს არ გიწყობსო. ერთ ... დამდგარ წყალზე ვარჯიშო...არმანწინ ფოთში, სადაც საქარ... პირადი პირველობა ჩატარდა, ...ვალედ იასპარეზა, I ადგილი ... და სპორტის ოსტატის ნორ... შეასრულა.

...ედ იმ წელიწადს დაიწყო საბ...კავშირში სანიჩბოსნო სლალომი. ...მ აქაც სცადა ძალა. საქართვე...ლოს დამსახურებულ მწვრთნელ ქ. მარეხაშვილთან დაუღალავმა შრომამ თავისი გაიტანა: პირველი საკონტროლო საკავშირო ტურნირი გაგრის რაიონში მოეწყო და გიორგიმ იქ III ადგილი დაიკავა, რის გამოც სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს.

პირველი ოფიციალური საკავშირო ჩემპიონატი ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში ჩატარდა. გიორგიმ იქ თავი ვერაფრით გამოიჩინა — VII ადგილს დასჯერდა. მაგრამ წარუმატებლობამ გული როდი გაუტეხა, ვარჯიშს უფრო მონდომებით შეუდგა და ამბროლაურში, სსრ კავშირის პირად პირველობაში, IV ადგილზე გადაინაცვლა.

გ. ნასყიდაშვილი საზღვარგარეთ პირველად შარშან გავიდა, აპრილში საბჭოთა ქვეყნის ნაკრების ნიჩბოსნებთან ერთად ეწვია ცვიკაუს (გდრ), სადაც საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. საბჭოთა ნიჩბოსნების ძირითადი მიზანი გამოცდილების მიღება და ტექნიკის დახვეწა იყო. გიორგი გულდასმით ადევნებდა თვალს თითოეული სპორტსმენის გამოსვლებს, მათს ტექნიკას. ამ ტურნირში მას XIX ადგილი ხვდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაკრები მსოფლიო პირველობისთვის მზადებას შეუდგა.

დადგა იტალიაში გამგზავრების დღეც. საბჭოთა ნიჩბოსნებმა მილანში ერთი დღე დაჰყვეს (გიორგისთან ერთად მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ მისი თანაგუნდელები ვ. როსტიაშვილი, ო. მარეხაშვილი, ი. ამეტოვი და ს. არეშოვი). მერე ვენეციაში ჩავიდნენ, იქიდან კი დოლომიტის მთებში, ბოლცანოში. დილით უკვე საქვეყნოდ განთქმულ კურორტ მერანოში იყვნენ.

— სწორედ ამ ქალაქში პასირიაზე ტარდებოდა მსოფლიო პირველობა, — გვიამბობს გიორგი. — უჩვეულო სიხარულის გრძნობა დამეუფლა. ხუმრობა ხომ არ არის ასეთ დიდ ტურნირში მონაწილეობა, მსოფლიოს 22 ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებთან შეხვედრა! ჩვენმა გუნდმა XII ადგილი დაიკავა. პირად ტურნირში მეთოთხმეტე ვიყავი. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. სლესარევი ჩემი შედეგით კმაყოფილი დარჩა...

იტალიისა და მერანოს კომუნისტებმა ასპარეზობის შემდეგ მიგვიწვიეს ბანკეტზე, სადაც გდრ-ის, პოლონეთისა და იტალიის სპორტსმენებიც იყვნენ. ქართველებს იტალიელები სიცილიელებს გვეძახდნენ. განსაკუთრებით მე ჩამაცივდნენ, უეჭველად სიცილიიდან იქნები და რატომ ენა არ იციო. ბანკეტზე მერანოს კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა პატივისცემით ახსენა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე მიხეილ ხერგიანი. შეისვა მისი ხსოვნის სადღეგრძელო.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ქუთაისში, სსრ კავშირის პირად პირველობაში უძლიერესის სახელისთვის ბრძოლაში 10 ქულით ჩამორჩა რიგელ ა. ლაიდინშს და II ადგილს დასჯერდა, მერე კი იუგოსლავიაში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა.

სსრ კავშირის სანიჩბოსნო სლალომის ოსტატების კლასი მეტოქეთა დონეს საგრძნობლად ჩამორჩება, ამიტომ ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მიუნჰენის ოლიმპიადაზე მთლიანი გუნდი კი არა, მხოლოდ საუკეთესოები წაეყვანა. ეს საგზური ერგო გიორგი ნასყიდაშვილს, რომელმაც წლევანდელ შეჯიბრებაში ბევრჯერ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირში მას ჯერჯერობით ბადალი არა ჰყავს.

ნასყიდაშვილი საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ჯერ დასავლეთ გერმანიას ეწვია ოლიმპიური ტრასის მოსასინჯად, შემდეგ იუგოსლავიაში ემზადებოდა. იუგოსლავიიდან კი მცხეთელი ჭაბუკი პირდაპირ ოლიმპიადაზე ჩავა.

ლ. ხეცურიანი.

• • •

სურათზე: გ. ნასყიდაშვილი თავის სტიქიაში.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.



**...ი კურსი — ...ლიმპიადა**

# ...ემ ქ ვ ს ე დ!

...ა და იმდენი მაინც ისწავლა, ...რჯიმნის დახმარება არ დასჭი-...

...ერ პინეგინ, ჩვენი აზრით, ...წინადადებები ყურადღებას ...ებს", — დაასკვნა იმ სანოვმბ...ლდრის დროს იტალიელმა ბ. ... კავშირის პრეზიდენტმა. იგი ...დი ხანია პინეგინს იცნობს — ...ევ 1960 წლიდან, როცა საბ...ორტსმენი ოლიმპიური ჩემპიო...ა. პრეზიდენტი დარწმუნებუ...მ საიალქნო საქმეში არ არის ...ო, რომელიც არ ეცოდინება ...აფრონსანს, ნამდვილ ზღვის ... 32 წლის მანძილზე ტ...აქტიკულად ყველა კლასის ...სპარეზია, მაგრამ სწავლა არა...ითავილებოდა.

...ნკის XV ოლიმპიურ თამა...ნებანი საოადარიგო იყო, შა...იბრების მონაწილეებზე ნაკლე...შამ როდი ჰქონდა. ალტონზე ... და თავისი ამხანაგებისთვის ...ამზადებდა. შემდეგ დიდხანს ...იყო, საუკეთესო მესაჭეებს ...ოდა, გულდასმით შეჰქონდა ...ში დაკვირვებები. მისი კონ...მთელი წიგნია სრულიად ...ვა პირობებში იახტის მართვის...

...სიით პინეგინი ავიაციის ტექ...ომის წლებში იგი ერთ-ერთ ...უქტორო ბიუროში მუშაობდა. ...მ საამქროში იყო და ფრონ...იღვწოდა. საიალქნო სპორ...აცვლამ მისი სპეციალობების ...ააფართოვა. ტიმირს დიდი ...ით მიანდობდნენ მეავეჯის ...ებსმიერ საამქროში. მისი ცო...ობით ამბობს, ტიმირი აქე-...ლიეშიც მშვენივრად იმუშავებდა თერძადო. რას იზამ, იახტის კაპიტანმა იალქნების გამოჭრაც უნდა იცოდეს. 1960 წლის ოლიმპიურ რეგატამდე დარჩენილ დღეებში ტიმირმა და მისმა მებაგირე ფ. შუტკოვმა ისე კარგად შეისწავლეს ნეაპოლიტანიის სრუტე, მისი დინებები და ქარები, რომ თავისუფლად შეასრულებდნენ ლოცმანის როლს, საჭირო რომ ყოფილიყო.

პინეგინს ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე ბევრი მებაგირე გამოუცვლია. ყველა ვერ უძლებდა იმ დაძაბულობას, დაჟინებას, ჩვენ ვიტყოდით გაშმაგებას, რომლითაც იგი ვარჯიშობდა. ერთხანს მასთან მეზღვაურად დაცურავდა ა. ეიზენი, რომელიც დღეს დიდი თეატრის ცნობილი სოლისტია. ეიზენმა კარგად იცოდა თავისი საქმე, მაგრამ ხელოვნებამ გადასძლია.

1953 წელს პინეგინთან შუტკოვმა დაიწყო ვარჯიში. იგი თავის მესაჭეზე უფროსი იყო, უფრო ადრე გაიგო საიალქნო რბოლის გემო და ბევრი რამ ასწავლა ტიმირს. თოთხმეტჯერ მოიგო პინეგინ — შუტკოვის ეკიპაჟმა ოქროს მედლები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, ევროპაშიც უძლიერესი იყო, ბევრჯერ გაუმარჯვია დიდ საერთაშორისო რეგატებში. დაბოლოს, სწორედ შუტკოვთან ერთად მოიპოვა პინეგინმა საბჭოთა საიალქნო სპორტის ისტორიაში პირველად ოლიმპიური გამარჯვება „ვარსკვლავის" კლასში თავისი ცნობილი „ტორნადოთი".

ეს იყო მეგობრული დუეტი, რომელიც დარდსა და სიხარულს იყოფდა, სადაც ეკიპაჟის ორივე წევრი ერთნაირად შრომობდა. ტიმირს ისევე სჯეროდა შუტკოვის, როგორც საკუთარი თავისა. თავის მხრივ, მებაგირე ყველაფერში ენდობოდა თავის კაპიტანს. მხოლოდ ასეთ ეკიპაჟს შეეძლო წარმატებების მოპოვება. პინეგინი დაღონებული ეთხოვებოდა თავის ნავს, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა დაახლოებით ორი ათეული წლის მანძილზე, თავის მეზღვაურს, რომლისგანაც დიდად დავალებული იყო. რას იზამ, ახლა „სოლინგმა" გაიტაცა. შუტკოვი კი ძველებურად „ვარსკვლავზე" დაცურავს. ისიც ემზადება ოლიმპიადისთვის კილში და მესაჭე ბ. ბუდნიკოვთან ერთად გამოვა. ამ სპორტსმენებმა შარშან I ადგილი დაიკავეს ევროპის ჩემპიონატში.

მხოლოდ სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პინეგინმა სერიოზულად დაიწყო „სოლინგის" შესწავლა. საბჭოთა აფრონსნებს შორის მან პირველმა ითავა ნავის „გაწყობა". აი, სად გამოადგა უდიდესი გამოცდილება, ნაფ გაციის ცოდნა, კონსტრუქტორის აზროვნება. ტიმირმა სულ მოკლე ხანში შეძლო ნავის დამორჩილება, აიძულა იგი გამარჯვების კურსით ევლო. მისი „ვარიაგი" არაერთხელ პირველი გასულა ზღვაში სასტარტო გასროლის შემდეგ და სხვებზე ადრე გადაუკვეთია ფინიშის ხაზი. „სოლინგის" კლასში პინეგინმა რამდენიმე საერთაშორისო რეგატა მოიგო. საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. სულ ახლახან იგი ბრწყინვალედ გამოვიდა ჩემპიონატში და თავის კოლექციას კიდევ ერთი ოქროს მედალი შემატა. მან წარმატებით გაიარა ოფიციალური საერთაშორისო გამოცდა: ევროპის შარშანდელ პირველობაში „ვარიაგი" მეორე აღმოჩნდა.

45 წლის ტიმირ პინეგინი ახლა მეექვსე ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

ვ. კუკუშკინი,
მ. შლაენი.
(საკდეხის კორ.).

---

**ესპორტის ... ბიბლიოთეკა**

### სსრ კავშირის პირველობა

**II ლიგა III ზონა**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 23 | 13 | 7 | 3 | 34—10 | 33 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 22 | 11 | 9 | 2 | 38—17 | 31 |
| „დინამო" (ბათუმი) | 23 | 11 | 8 | 4 | 39—25 | 30 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 23 | 14 | 2 | 7 | 32—25 | 30 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 24 | 12 | 4 | 8 | 28—22 | 28 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 23 | 10 | 7 | 6 | 35—23 | 27 |
| „დილა" (გორი) | 24 | 9 | 9 | 6 | 25—19 | 27 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 22 | 9 | 7 | 6 | 28—20 | 25 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 24 | 8 | 9 | 7 | 22—26 | 25 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 23 | 10 | 4 | 9 | 22—18 | 24 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 23 | 9 | 5 | 9 | 29—31 | 23 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 23 | 8 | 5 | 10 | 25—29 | 21 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 24 | 6 | 8 | 10 | 23—31 | 20 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 23 | 7 | 5 | 11 | 25—35 | 19 |
| „დინამო" (სოხუმი) | 22 | 5 | 8 | 9 | 23—32 | 18 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 22 | 6 | 5 | 11 | 19—26 | 17 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 24 | 4 | 8 | 12 | 19—33 | 16 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 24 | 2 | 9 | 13 | 18—34 | 13 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 24 | 5 | 3 | 16 | 21—49 | 13 |

## საქართველოს ჩემპიონატი

ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა რესპუბლიკის ჩემპიონატი ფეხბურთში.

● „სულორი" (ვანი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:1. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (გაგრა).

● „ივერია" (ხაშური) — „ისანი" (თბილისი) 1:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

გოლი, რომელიც ლომსაძემ გაიტანა „ისნის" კარში მე-20 წუთზე, ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში.

მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებულია ხაშურელი თ. ლურსმანაშვილი.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — ასკ (თბილისი) 2:2. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

მასპინძელთაგან ორივე გოლი რუხაიამ გაიტანა, ხოლო საპასუხო ბურთები — კვარაცხელიამ და ჩომახიძემ.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მატჩის დასასრულს რამდენიმე წუთი აკლდა, ხოლო ანგარიში ფრე იყო — 1:1. ამ პატარა დროში ქობულეთელი პახოვსკის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „შუქურას".

● „დინამო" (ზუგდიდი) — „განთიადი" (ბორჯომი) 6:1. მსაჯი ე. კაპანაძე (ზესტაფონი).

„განთიადის" მოთამაშე ბ. გუგუბერიძეს გაფრთხილება მიეცა მსაჯთან კამათისთვის.

● „კახეთი" (თელავი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:3. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

სამტრედიელი ფეხბურთელები ორჯერ დაწინაურდნენ და მასპინძლებმა ორივეჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. 43-ე წუთზე მანჯავალაძემ მესამე ბურთი გაიტანა „კახეთის" კარში, შესვენების შემდეგ კი, ორმხრივი მწვავე ბრძოლის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

● „კოლხეთი" (ხობი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

• • •

აწყურის „სამცხე" ლაითურის „გიგანტთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა, რისთვისაც წაგება ჩაეთვალა.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„გარისი" (თეთრი წყარო) — „კოლმეურნე" (ტიბაანი) 0:2, „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:1, „ვარძია" (ასპინძა) — „ცისკარი" (სიღნაღი) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ავტომობილისტი" (ცხინვალი) 1:0.

#### II ზონა

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „განახლება" (ადიგენი) 3:1, „სქური" (წალენჯიხა) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 4:0, „დიოსკურია" (სოხუმი) — „ჩიცურა" (საჩხერე) 3:2, „მჩიური" (გალი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „კომეტა" (ფოთი) 2:2, „ბახმარო" (ჩოხატაური) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 2:0.

### ზონალური შეჯიბრებები

„აბული" (ახალქალაქი) — „განთიადი" (მარნეული) 1:2, „ძველი ანაგა" (სიღნაღი) — „ქისტაური" (ახმეტა) 2:3, „იორი" (თიანეთი) — „მუკუზანი" (გურჯაანი) 1:5, „ნაფარეული" (თელავი) — „სოფლტექნიკა" (თელავი) 4:1.

გორის „ლიახვს" გამარჯვება ჩაეთვალა ბოგდანოვკის „ფარავნასთან", ქარელის „ყინწვისს" — მახარაძის „ლაშესთან", სამტრედიის „ავტომობილისტს" — ლანჩხუთის „კოლმეურნესთან".

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ზუგდიდი) | 26 | 16 | 7 | 3 | 47—15 | 39 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 25 | 16 | 7 | 2 | 45—26 | 39 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 24 | 14 | 7 | 3 | 46—18 | 35 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 26 | 13 | 6 | 7 | 38—34 | 32 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 24 | 11 | 7 | 6 | 42—29 | 29 |
| „სულორი" (ვანი) | 24 | 11 | 6 | 7 | 24—16 | 28 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 25 | 11 | 5 | 9 | 25—26 | 27 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 25 | 9 | 8 | 8 | 42—30 | 26 |
| „კახეთი" (თელავი) | 24 | 10 | 4 | 10 | 32—34 | 24 |
| „სამცხე" (აწყური) | 25 | 9 | 5 | 11 | 42—41 | 23 |
| „ისანი" (თბილისი) | 25 | 8 | 7 | 10 | 26—29 | 23 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 26 | 9 | 5 | 12 | 30—41 | 23 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 25 | 9 | 4 | 12 | 27—39 | 22 |
| „ივერია" (ხაშური) | 25 | 9 | 4 | 12 | 21—38 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 24 | 7 | 7 | 10 | 30—33 | 21 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 25 | 7 | 7 | 11 | 16—27 | 21 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 25 | 9 | 2 | 14 | 41—43 | 20 |
| ასკ (თბილისი) | 20 | 6 | 6 | 8 | 26—24 | 18 |
| „ვარაზთილი" (გარდაბანი) | 23 | 5 | 5 | 13 | 16—29 | 15 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 25 | 3 | 8 | 14 | 31—48 | 14 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 23 | 4 | 5 | 14 | 11—38 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქართველ ეტიუდისტთა დიდი წარმატება

ერთხელ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა თბილისს მსოფლიოში საჭადრაკო ეტიუდის ერთ-ერთი ცენტრი უწოდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლდათ. ქართველმა ეტიუდისტებმა 60-ან წლებში საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე დიდი აღიარება მოიპოვეს. მათი ნამუშევრები დედამიწის თითქმის ყველა საჭადრაკო პერიოდულ გამოცემაში ისტამბება. მერე, როცა „ფიდე-ს ალბომში" (საჭადრაკო კომპოზიციის ოფიციალური ორგანო) დაბეჭდილი ქართველი ეტიუდისტების ნაწარმოებების რიცხვი შეჯამდა, თბილისი მართლაც საეტიუდო ხელოვნების ერთ-ერთ მძლავრ კერად გამოცხადდა.

ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ახლახან ქართველმა ეტიუდისტებმა კიდევ ერთ საგულისხმო წარმატებას მიაღწიეს: ეტიუდისტთა საკავშირო ჩემპიონატში ყველაზე მეტი ჯილდო დაისაკუთრეს (იხ. ყოველკვირეული „64", № 33).

საეტიუდო კომპოზიციაში სსრ კავშირის ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. კომპოზიტორები მთავარ მსაჯს უგზავნიან ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს. წლევანდელ ჩემპიონატში, რომელსაც გამოჩენილი ლენინგრადელი ეტიუდისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო ოსტატი და საერთაშორისო არბიტრი გ. კოროლკოვი მსაჯობდა, მონაწილეობდნენ მხოლოდ 1969-70 წლებში გამოქვეყნებული ან დაჯილდოებული ეტიუდები. 31 ეტიუდისტმა 141 ნამუშევარი წარმოადგინა.

„ჩემპიონატის შემოქმედებითი შედეგები საკმაოდ მაღალია", — შენიშნავს კოროლკოვი.

აი, როგორ განაწილდა ადგილები:

სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი (უკვე მეექვსედ) და ოქროს მედალი მიენიჭა ა. კასპარიანს (ერევანი) — 84 ქულა. II ადგილი და ვერცხლის მედალი ხვდა საერთაშორისო ოსტატ ვ. იაკიმჩიკს (უსტ-კამენოგორსკი) — 72 ქულა, III ადგილი და ბრინჯაოს მედალი — საერთაშორისო ოსტატ გ. ნადარეიშვილსა და ვ. კალანდაძეს (ორივე — თბილისი) — 41-41 ქულა.

შემდეგ მოდიან: IV. საერთაშორისო ოსტატი ლ. მიტროფანოვი (ლენინგრადი) — 40,5 ქულა, V-VII. დ. გურგენიძე (თბილისი), ი. დოროგოვი (ქინისეისკი) და საერთაშორისო ოსტატი ვ. ქოლოსიანცი (მოსკოვი) — 24 24, VIII. საერთაშორისო ოსტატი ლ. კაცნელსონი (ლენინგრადი) — 19,5, IX. საერთაშორისო ოსტატი ა. კაზანცევი (მოსკოვი) — 18, X. საერთაშორისო ოსტატი ა. კოპნინი (ჩელიაბინსკი) — 13, XI. ვ. დოლგოვი (კრასნოდარსკის მხარე) — 12, XII. ი. ბაზლოვი (პრიმორიეს მხარე) — 11, XIII-XV. საერთაშორისო ოსტატები ა. ბრონი (სვერდლოვსკი), ალ. კუზნეცოვი (მოსკოვი) და ა. მოტორი (ოდესა) — 10-10, XVI. საერთაშორისო ოსტატი ი. კრიხელი (გორი) — 6, XVII. რ. თავარიანი (თბილისი) — 3, XVIII. ვ. ნეიძე (თბილისი) — 2.

როგორც ხედავთ, პრიზიორებში ყველა ცნობილი ეტიუდისტია. კოროლკოვი წერს: „ა. კასპარიანისა და ვ. იაკიმჩიკის წარმატება სავსებით დამსახურებულია და გაკვირვებას არ იწვევს. შეიძლება გავიხაროთ გ. ნადარეიშვილისა და ვ. კალანდაძის დიდი მიღწევით, რომლებიც პირველად არ მონაწილეობენ ჩემპიონატში, მაგრამ მხოლოდ ახლა მოხვდნენ პრიზიორთა რიცხვში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველი ეტიუდისტების ბრწყინვალე გამოსვლა — ფინალში ხუთი თბილისელი ეტიუდისტი მოხვდა: მათ ჩამორჩნენ მოსკოველები — სამი ფინალისტი, და ლენინგრადელები — ორი. გვახარებს „ახალგაზრდა" (ზოგი — სტაჟით, ზოგი — ასაკით) ეტიუდისტების ი. ბაზლოვის, დ. გურგენიძის, ვ. დოლგოვის, ი. კრიხელის, ა. მოტორის, ვ. ნეიძის, რ. თავარიანის უეჭველი ზრდა".

საქართველოს ეტიუდისტების წარმატება დღეს უფრო შთამბეჭდავია. ბოლო ოცი წლის მანძილზე ჩვენში ბევრი გაკეთდა საეტიუდო ხელოვნების განვითარებისთვის. გაზეთებმა „ახალგაზრდა კომუნისტმა", „მოლოდოი გრუზიიმ", „ზარია ვოსტოკამ", „ლელომ", ჟურნალებმა „დროშამ", „პიონერმა" და სხვადასხვა დაწესებულებამ რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების გამოცხადებით ხელი შეუწყვეს საქართველოში საეტიუდო აზროვნების წინსვლას.

ამ კარგ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს გაზეთ „კომუნისტს". სწორედ ამ გაზეთის რედაქციამ ამას წინათ გამოაცხადა ეტიუდისტთა საკავშირო კონკურსი, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნა. კონკურსის მსაჯებად მიწვეული არიან დიდოსტატი მ. ბოტვინიკი და თბილისელი ეტიუდისტი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ნეიძე.

როცა საქართველოს ეტიუდისტთა დიდ აღიარებაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს ცნობილი ეტიუდისტის, საერთაშორისო ოსტატ გ. ნადარეიშვილის დიდი დამსახურება. იგი ბევრი კონკურსის თაოსანია, ახალგაზრდა კომპოზიტორების ხელშემწყობი. მან პირველმა გამოსცა ეტიუდების წიგნები (1952 და 1967 წ.წ.) ქართულ ენაზე, აგრეთვე, თავისი და სხვა ქართველი ეტიუდისტების ნამუშევართა კრებული რუსულად (1971 წ.). გ. ნადარეიშვილი მესამე ათეული წელია თავკაცობს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის კომპოზიციის კომისიას.

თ. გიორგაძე.

საკლესი მოგზაურობა

## ტანდემით ქვიშაში და ზეკარებზე

ველოსპორტის ისტორიაში პირველად მოეწყო მრავალდღიანი მოგზაურობა ტანდემით. ტაჯიკეთის ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტმა ა. ბურლაკოვმა და დუშანბეს ქარხანა „რემსტროიდორმაშის" ხარატმა ვ. ლმადხინმა შუა აზიისა და ყაზახეთის ტერიტორიაზე 3030 კილომეტრზე მეტი გაიარეს. ტანდემი წარწერებით — „სსრ კავშირი-50" და „მშდ-ს მარში" — ნახეს ტაშკენტის, ჩიმკენტის, ჯამბულის, ფრუნზესა და სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა. ველოსპორტსმენებმა, რომელთაგან ერთს არდადეგები ჰქონდა, მეორე კი შვებულების დღეებს ატარებდა მოგზაურობაში, გადალახეს უდაბნოს ქვიშნარიც და ანზობისა და შახრისტანის მაღალმთიანი ზეკარები. ისინი იყვნენ მოძმე რესპუბლიკების ბევრ საწარმოში, სადაც მასპინძლებს დუშანბეს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის სპეციალური ვიმპელები გადასცეს.

ტანდემი მოგზაურებმა თვითონ გააკეთეს. ველოსიპედის ყველა დეტალი კომკავშირელთა ხელითაა შექმნილი. ჩარჩო და სხვა ნაწილები ბევრად „გაძლიერებულია", მანქანა გაცილებით მსუბუქია თავის ქარხნულ თანამოძმეზე. ტანდემმა შესანიშნავი თვისებები გამოავლინა.

ახლა მოგზაურები ემზადებიან ახალი ლაშქრობისთვის საბჭოთა ხალხის საბრძოლო და რევოლუციური დიდების ადგილებში. ამ მოგზაურობას, რომელიც ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საგზურებით ეწყობა, ახალგაზრდები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნიან.

გ. დეინიჩენკო.

დუშანბე.

## უკან დარჩა 3000 კილომეტრი

როალდ გერკეს, რიგის სამედიცინო ინსტიტუტის ოპერატიული ქირურგიის კათედრის დოცენტს, შვებულება დაუმთავრდა. წინ სამუშაო დღეებია. მაგრამ იგი რიგის ზღვისპირეთის ან შავი ზღვის პლაჟებზე როდი ისვენებდა. უკვე მესამე წელიწადია ლატვიელი ქირურგი მოგზაურობს საბჭოთა კავშირის ზღვებსა და მდინარეებზე თავისი ნავით „დეკლათი".

...1970 წელს მისი საკრეისერო ნავი დაუგავიდან გავიდა და ლენინგრადისკენ აიღო კურსი. ეკიპაჟი ორი კაცისგან შედგებოდა. ესენი იყვნენ კაპიტანი რ. გერკე და რიგის ერთ-ერთი საავადმყოფოს მედდა, პირველი კლასის მესაჭე ინტა ბუიევა. „დეკლამ" გაიარა ნევა, ლადოგა, სვირი, ონეგის ტბა და პეტროზავოდსკში ჩავიდა.

შემდეგ ნავმა კურსი ჩრდილოეთისკენ აიღო, თეთრი ზღვისა და ბალტიის არხის გავლით თეთრ ზღვაში შევიდა და მერე სოლოვეცკის კუნძულებს მიადგა. შემდეგ კვლავ გზას დაადგნენ. მოგზაურობა იაროსლავლში დამთავრდა.

ამ ზაფხულში როალდი და ინტა კვლავ გაემგზავრნენ სალაშქროდ, ოღონდ ახლა უკვე ცოლ-ქმარი იყვნენ. „დეკლა" ვოლგით დაეშვა ციმლიანსკის წყალსაცავამდე, შემდეგ კი აზოვის ზღვას მიაშურა. გამოჩნდა შავი ზღვაც. „დეკლა" სრული სვლით მიადგა გმირ ქალაქ სევასტოპოლს. უკან დარჩა 3600 კილომეტრი. ამ ლაშქრობაში კაპიტანმა და მესაჭემ სპორტის ოსტატის ნორმატივები შეასრულეს.

ახლა „დეკლა" სევასტოპოლის იახტკლუბში „ისვენებს".

გაისად კაპიტანი და მისი ცოლი შავი ზღვის რეისში გაემგზავრებიან.

დ. გეფტერი.

რიგა.

## ქვანახშირი პამირის მწვერვალზე

დონბასის წიაღში მოპოვებული ქვანახშირის ზოდი პამირის ერთ-ერთ მწვერვალზე სპორტული გამარჯვების სიმბოლოდ დაიდგა. მეშახტის დღისადმი მიძღვნილი ალპინიადის მონაწილე მთამსვლელთა ჯგუფი დონეცკში სულ ახლახან დაბრუნდა ამ მთებიდან.

დონეცკელმა მემაღაროელებმა ამ ლაშქრობაში პირველებმა დაიპყრეს სამხრეთ ტაჯიკეთის პიკი, რისთვისაც ბევრი სირთულის გადალახვა მოუხდათ.

აქვე, პამირზე, მთამსვლელთა ოჯახს შეემატა ორი „თოვლის ჯიქი". საბჭოთა კავშირის ოთხივე შვიდათასიანის დამპყრობთა ეს საპატიო წოდება მოიპოვეს ენაკიევოს „კრასნი ოქტიაბრის" № 1-2 შახტის უბნის უფროსმა ბ. ივანოვმა და გორკის სახელობის შახტის სამთო ოსტატმა პ. ჟელობოტკინმა. მათთვის ლენინის პიკი რომელზეც ალპინიადის მონაწილენი ავიდნენ, ბოლო, გადამწყვეტი სიმაღლე იყო. მეშახტეებმა რთული ბილიკებით იარეს ბაბელისა და ლენინგრადის უნივერსიტეტის სახელობის მწვერვალებისკენ.

დონეცკის ოლქში ათი ათასი კაცი ატარებს „სსრ კავშირის მთამსვლელის" სამკერდე ნიშანს. მათ თავიანთი კლუბი („დონბასი") აქვთ და ყოველწლიურად ლაშქრავენ პამირს, ალტაის, ტიან-შანის მთებს. წლეულს 500 კაცი იყო საგზურებით მთამსვლელთა ბანაკებში.

ი. დიაჩკოვა.

დონეცკი.

# ლორდი კილანინი — სოკ-ის ახალი პრეზიდენტი

**მიუნხენი**, 23 აგვისტო. ლორდი კილანინი (ირლანდია) არჩეულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) პრეზიდენტად, ნაცვლად ამერიკელი ეივერი ბრენდეჯისა, რომელსაც ეს პოსტი ოც წელს ეკავა.

კილანინი, რომელიც 58 წლისაა, სოკ-ში 1950 წელს აირჩიეს. 1966 წელს იგი სოკ-ის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი გახდა.

ახალი პრეზიდენტი 8 წლითაა არჩეული. სათვალავით იგი სოკ-ის მეექვსე მეთაურია. კილანინი ამავე დროს ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც გახლავთ.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### პოპულარობაც ამას ჰქვია!

ფრანგის ჟურნალ „გოლს" ასეთი შემთხვევა მოჰყავს: მიუნხენის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მასწავლებელმა მოწაფეებს შესთავაზა დაესახელებინათ ცნობილი პიროვნება, რომლის გვარიც „ბ" ასოთი იწყება.

„ბეკენბაუერი", — იყო ერთხმად პასუხი.

მასწავლებელმა თქვა: „ბრანდტს რატომ არ ამბობთ?".

„ეს კაცი, ალბათ, სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობს", — იყო პასუხი.

ბრანდტი კი, მოგეხსენებათ, გფრ-ის კანცლერია.

### რობერტ ჩარლტონის იუბილე

როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორატმა განაცხადა, მიმდინარე წლის დამლევს განზრახულია იუბილე მოუწყონ სახელოვან ოსტატს რობერტ ჩარლტონს (იუბილეს დღე მოგვიანებით გამოცხადდება).

ვეტერანის იუბილეს დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „მანჩესტერ იუნაიტედი" და იმ ვარსკვლავთა ნაკრები, რომლებიც რ. ჩარლტონის ხანგრძლივი კარიერის მანძილზე თამაშობდნენ. გამოცხადდა, რომ ითამაშებს 46 წლის ა. დი სტეფანოც.

## მოკლედ

● **რომი**. ელ. ერერამ ახალ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „რომასთან". მწვრთნელის წლიური ჰონორარია 80 მილიონი ლირა.

● **სტრასბურგი**. აქ გამოცხადდა, რომ გფრ-ის ნაკრების ყოფილი მარჯვენა გარემარბი რ. ლიბუდა („შალკე 04") საფრანგეთის I ლიგის კლუბ „სტრასბურგში" გადმოდის.

● **ტურინი**. „ნაპოლის" ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები — მეკარე ძოფა და ცენტრალური თავდამსხმელი ალტაფინი გადავიდნენ ტურინის „იუვენტუსში". მარჯვენა გარემარბი კაუზიო, რომელიც აქამდე წარმატებით თამაშობდა „ფიორენტინაში", „მილანში" ჩაირიცხა.

● **რომი**. იტალიის ნაკრებიდან გამოიყვანეს გუნდის ყოფილი კაპიტანი ფაკეტი, ნერა, ბერტინი და ბედინი.

# სოხუმის საერთაშორისო...

სოხუმში, ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის შენობაში, გრძელდება სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირი. 5 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ლ. ესპიგი (გდრ) — 3,5 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან მ. მუხინი (ალმა-ათა) — 3 ქულა (4-დან), მ. ტალი (რიგა), მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), ა. ბელიავსკი (ლვოვი) და კ. ხონფი (უნგრეთი) — 3-3.

IV ტურში ტალმა კარგ სტილში მოუგო ჰ. რეეს (ჰოლანდია), ბელიავსკიმ — ნ. კიროვს (ბულგარეთი). ყაიმით დასრულდა ვ. ლიბერზონ (მოსკოვი) — რ. კიუბნერის (გფრ), დ. სათლზ (კანადა) — ტაიმანოვის, რ. ხოლმოვ (მოსკოვი) — ვ. იანსას (ჩეხოსლოვაკია) და ვ. სავონ (ხარკოვი) — ე. გუფელდის (თბილისი) შეხვედრები.

V ტურში კვლავ ისახელა თავი ტურნირის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, 18 წლის ბელიავსკიმ. ამ დღეს მან სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ჩემპიონს ი. მურეის (მოსკოვი) სძლია. მუხინმა მოუგო კიროვს, ხონფიმ — ხოლმოვს. ყაიმზე შეთანხმდნენ იანსა — ლიბერზონი, კიუბნერი — ტალი, გუფელდი — ესპიგი, რეე — სათლზი და ტაიმანოვი — სავონი.

• • •

სურათზე: მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირის მორიგი ტური.

გ. იამვილის ფოტო.



● **მოსკოვი**, 23 აგვისტო. აქ ცნობილი გახდა, რომ დამთავრდა 1970 წლის 1 იანვარს დაწყებული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი წერილ-მოწერით თამაშში. ტურნირში 16 კაცი მონაწილეობდა 7 ქვეყნიდან. I ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა ა. ხასინმა (მოსკოვი) — 12,5 ქულა. მან 6 დიდოსტატი ჩამოიტოვა.

ჭადრაკი

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 10201